საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერია ნიკოლოზ დიტოს ძე

ბერია ნიკოლოზ დიტოს ძე (1925, სოფ. ოდიში, სოხუმის მუნიციპალიტეტი, – 1948, სოხუმი), საბჭოთა კავშირის გმირი (17. XI. 1943). II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა ყუბანში, ტამანის ნ.-კ-ზე, 1943 ნოემბ. – ქერჩის ნ.-კ-ზე. ქერჩის სრუტის გადალახვისა და პლაცდარმის დაკავების დროს სადესანტო ოპერაციაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ომის დამთავრების შემდეგ ცხოვრობდა და მუშაობდა სოხუმში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი